

ახალი კლუბები მსოფლიო რუქაზე

თორნიკე შარაშენიძე

ვიპას საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის კოორდინატორი

ირანი ახალ კლუბში

დიდი ხანია ცნობილია, რომ ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაზე ორიენტირებულ სახელმწიფოებს არც ისე დიდი მომავალი აქვთ. ნავთობ-სახელმწიფოები მეტისმეტად არიან დამოკიდებულნი საწვავის ფასებზე, ფასების დაცემისთანავე მათი ეკონომიკა პრაქტიკულად ინგრევა და ქვეყანაც პოზიციებს კარგავს.

ნავთობ-სახელმწიფოები შეიძლება ორ კატეგორიად დავეყოთ – ისინი, ვისაც გააჩნია ბირთვული იარაღი და ისინი ვისაც ბირთვული იარაღი არ გააჩნია. ცხადია, ბირთვული იარაღი ეკონომიკური კატაკლიზმებისგან ვერ დაგიცავს, მაგრამ იგი მნიშვნელოვანი სამხედრო-პოლიტიკური ბერკეტია. საბჭოთა კავშირის დანგრევისა და ეკონომიკური კოლაფსის მიუხედავად რუსეთი მაინც მუდამ ინარჩუნებდა სულ მცირე რეგიონული სახელმწიფოს სტატუსს და ეს სწორედ ბირთვული იარაღის დამსახურება იყო. ახლა საწვავზე ფასების ზრდის წყალობით რუსეთის სტატუსი და გავლენა კიდევ უფრო იზრდება.

დღესდღეობით ბირთვული ნავთობ-სახელმწიფოების კლუბში გადასვლას ირანი ცდილობს და ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. მითუფრო არ უნდა იყოს გასაკვირი ირანის დღევანდელი ხელძღვანელობის მსოფლმხედველობის გათვალისწინებით.

ბრიტანელ მეზღვაურებთან დაკავშირებულ ცნობილ ინციდენტს ირანის ბირთვულ პროგრამასთან არანაირი პირდაპირი კავშირი არა აქვს. მაგრამ ამ მოვლენებმა შესაძლოა კიდევ უფრო გაართულოს ირანული პრობლემა, რადგან ინციდენტი თეირანმა ალბათ საკუთარ გამარჯვებად ჩათვალა. პრეზიდენტ აჰმადინეჯადის ქცევიდან აშკარად ჩანს, რომ მის თვალში აშშ სუსტდება და პოზიციებს კარგავს. ჯერ კიდევ მოუგვარებელი პრობლემები ავღანეთში და გამოუვალი მდგომარეობა ერაყში. პოტენციური მეტოქეების – რუსეთისა და ჩინეთის – გაძლიერება. ავღანეთისა და ერაყის შემდეგ ვაშინგტონის მიერ ირანზე იერიშის მიტანა ძნელადაა წარმოსადგენი. ხშირად საუბრობენ იმაზეც, რომ დარტყმა არ მიიღებს ინტერვენციის ხასიათს – დაიბომბება მხოლოდ ირანის ბირთვული პროგრამის ობიექტები. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ობიექტები მთელი ქვეყნის ტერიტორიაზეა გაფანტული და მიწისქვეშ მდებარეობს – თეირანი ამგვარი სცენარისათვის წინასწარ მოემზადა.

ირანის მიერ ბირთვული სტატუსისკენ სწრაფვა ოპორტუნისტული მოსახრებებითაა განპირობებული - ისტორიამ შეიძლება ასეთი შესაძლებლობა თეირანს აღარც მისცეს. ამ შესაძლებლობას ირანის დღევანდელი მთავრობის ლიდერი ალბათ დიდხანს ელოდა, რადგან მისი გამოცდილებიდან და ისტორიული მესხიერებიდან გამომდინარე ირანს როგორც მტრებით გარშემორტყმულ სახელმწიფოს, ბირთვული იარაღი აუცილებლად ესაჭიროება.

აჰმადინეჯადი არა მხოლოდ ისლამური რევოლუციისა და აშშ-ის საელჩოს შტურმის, არამედ ერაყთან ომის აქტიური მონაწილეცაა. ერაყთან ომმა ირანელ

ხალხზე წარუშლელი და მძიმე კვალი დატოვა. ამ ომს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ყველა ერთის წინააღმდეგ. ისლამურმა რევოლუციამ იმდენად დააშინა რეგიონი და პრაქტიკულად მთელი მსოფლიო, რომ არ დარჩენილა გავლენიანი ქვეყანა, რომელიც ირან-ერაყის კონფლიქტში ამ უკანასკნელს რაღაცით არ დახმარებოდა. ერაყის უკან იდგნენ არაბული ქვეყნები, ჩინეთი, ნატოს წევრი ქვეყნები და ასევე ვარშავის პაქტის ქვეყნები. ერაყის დასავლურ თუ საბჭოთა შეიარაღებას ირანელები ვერაფერს უპირისპირებდნენ ცოცხალი ძალის გარდა, რის შედეგადაც მსხვერპლი არნახული იყო. ერაყელები ომში ქიმიურ იარაღსაც იყენებდნენ, რასაც ასე ათასამდე მათი მოწინააღმდეგე ემსხვერპლა. იმის გათვალისწინებით, რომ აგრესორს სწორედ ერაყი წარმოადგენდა, ძნელი გასაგები არ უნდა იყოს რა თვალთ უყურებდნენ ირანელები მაშინ დანარჩენ სამყაროს. თავად აჰმადინეჯადი იმ პერიოდში ირანის სახალხო ლაშქრის, “ბასიჯის” ინსტრუქტორი იყო. საერთოდ, ირანში რამდენიმე შეიარაღებული ფორმირება არსებობს, რომელთაგან “ბასიჯი” უფრო სამოყვარულო ხასიათისაა. ომში “ბასიჯის” გარდა აქტიური მონაწილეობა მიიღო უფრო პროფესიონალურმა ფორმირებამ, “არტემმა,” რომლის მხრებზეც გადავიდა ძირითადად კონფლიქტის სიმძიმე. მაგრამ განსაკუთრებული ფანატიზმით მაინც “ბასიჯი” გამოირჩეოდა.

მაგრამ მედაღს მეორე მხარეც აქვს. ირანი დიდი ხანია გარე სამყაროსგან იზოლირებულია და ეს, ცხადია, მის ეკონომიკაზე სერიოზულ გავლენას ახდენს. სრული დატვირთვით მუშაობისგან სანავთობო სექტორიც კი შორს დგას. რაც შეეხება გაზის სფეროს, ირანი დიდი რაოდენობით გაზის იმპორტს ეწევა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მოპოვება დაბალ ღირებულებაზე (არადა, ქვეყანა მსოფლიოში მეორეა გაზის რეზერვებით). ასევე იმპორტირებულია ბენზინის 40%. იმისათვის, რომ დაბალ ღირებულებაზე შეინარჩუნოს ფასები ელექტროენერჯიაზე, გაზსა და ბენზინზე, მთავრობა ყოველწლიურად 20 მილიარდამდე დოლარს ხარჯავს. თუნდაც ნავთობისა და გაზის სფეროების განვითარებისათვის ქვეყანას ინვესტიციები ესაჭიროება. მაგრამ ასეთ ვითარებაში ინვესტიციები ძნელადაა წარმოსადგენი.

ასე რომ ახლა ერთის მხრივ დრო ირანზე მუშაობს – იგი თანდათანობით ანვითარებს თავის ბირთვულ პროგრამას. მაგრამ მეორეს მხრივ, ეკონომიკური ვითარებიდან გამომდინარე ქვეყანამ ასე დიდხანს შეიძლება ვერ გაძლოს და ერთ მშვენიერ დღეს დათმოს. თუმცა, ახლანდელი ხელისუფლების მენტალიტეტიდან გამომდინარე უფრო სხვა სცენარია სავარაუდო – მთელი რესურსები ბირთვულ პროგრამაზე წავა; ხელისუფლება ეცდება მაქსიმალურად დააჩქაროს ბირთვული იარაღის შექმნა და ეს მანამდე დაასრულოს სანამ ქვეყნის ეკონომიკა სერიოზული გამოცდის წინაშე დადგება; ბირთვულ კლუბში შესვლის შემდეგ კი ირანს უკვე სხვა, უფრო დიდი პერსპექტივები ექნება.

თუმცა, ამ პერსპექტივებსაც მეორე მხარე აქვს. ბირთვული შიიტური ირანი რეგიონს იმდენად დააშინებს, რომ მთელი სუნიტურ-არაბული სამყარო ასევე ბირთვული იარაღის შექმნაზე დაიწყებს ზრუნვას...

ჩინოვნიკური გაზის კარტელი

ბოლო თვეების განმავლობაში საქმიანი სამყარო ახალ ფენომენზე ფიქრმა შეიპყრო. ამ ფენომენს გაზის ოპეკი ეწოდება. 9 აპრილს დოჰაში გაზის მომპოვებელ ქვეყანათა ფორუმი გაიხსნა, რომლისგანაც ბევრი გაზის კარტელის დაარსებასაც ელოდა. კარტელი არ დაარსდა და არც შეიძლებოდა

დაარსებულიყო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სანამ გაზის უდიდესი ნაწილი მილსადენებით, არათხევად მდგომარეობაში მიეწოდება მომხმარებელს, ნავთობისგან განსხვავებით გაზი რეგიონული და არა მსოფლიო პროდუქტია და შესაბამისად მისი ფასის მსოფლიო მასშტაბით კონტროლი პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა, გარკვეული ნაბიჯები კარტელისკენ მაინც გადაიდგა.

ფორუმზე მონაწილეობა მიიღეს რუსეთმა, ირანმა, ალჟირმა, ბოლივიამ, ბრუნემ, ეგვიპტემ, ინდონეზიამ, ირანმა, ლიბიამ, მალაიზიამ, ნიგერიამ, კატარმა, ტრინიდადმა და ტობაგომ, სამიროებმა და ვენესუელამ. ეს ქვეყნები მთელი მსოფლიოს ბუნებრივი გაზის მარაგის 42%-ს აკონტროლებენ, მაგრამ ამავე დროს მათ ექსპორტზე მსოფლიო გაზის მოხმარების მხოლოდ 14% მოდის. შედარებისათვის, ოპეკი მსოფლიო ნავთობის 43%-ს აკონტროლებს და მასზე ექსპორტირებული ნავთობის 30%-ზე მეტი მოდის. ეს კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც გაზის კარტელი არ დაარსდა. დაარსდა მხოლოდ “მაღალი დონის ჯგუფი,” რომელიც გაზზე ფასის დაწესებას გააკონტროლებს. ჯგუფი სამინისტროების დონეზე არსდება, ამიტომაც სახელმწიფოთაშორის შეთანხმებაზე ფორმალურად საუბარი არ არის. ანუ, თუკი კარტელი შეიქმნა, შეიქმნა ჩინოვნიკურ და არა პოლიტიკურ დონეზე.

“მაღალი დონის ჯგუფს” კი რუსეთი უხელმძღვანელებს. ექსპორტიორთა ფორუმის მორიგი სხდომა მომავალ წელს მოსკოვში გაიმართება, ხოლო “მაღალი დონის ჯგუფი” მიმდინარე წლის განმავლობაში სულ მცირე 7-ჯერ მაინც შეიკრიბება. მოსკოვის თანხმობა სათავეში ჩაუდგეს ამ ჯერჯერობით საკმაოდ გაურკვეველ ჯგუფს კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ კრემლი მზადაა ლიდერობისათვის ნებისმიერ ფორმატში, რომელიც დასავლეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება. გაზის კარტელს კიდევ სულ მცირე 15-20 წლის განმავლობაში არა აქვს სერიოზული პერსპექტივა და რუსეთი თავისი ამ ნაბიჯით ჯერჯერობით მხოლოდ იმას აღწევს, რომ კიდევ ერთხელ აღიზიანებს დასავლელ პარტნიორებს. დიდი რვიანის წევრი ვენესუელასა და ირანთან ერთად ზის ახალ ფორუმზე, რომელიც გაზის გაძვირების მცდელობითაა დაკავებული.

რუსულმა პრესამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ დასავლეთში გაზის კარტელის შექმნის იდეას და დოჰას სხდომას “ისტერიული” რეაქცია მოჰყვა. გარდა ამისა, “გაზპრომმა” განაცხადა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებს საბერძნეთთან გაზის მიწოდებაზე კონტრაქტის მოქმედების ვადის 2016-დან 2040 წლამდე გაგრძელების თაობაზე. საბერძნეთის მხრიდან ასეთი სურვილის გამოჩენა ნაწილობრივ სწორედ გაზის კარტელით გამოწვეული შიშით ახსნეს. თუმცა, მიზეზი ალბათ სხვაგან უნდა ვეძებოთ – ევროპული ქვეყნები უფრო იმით იქნებიან დაშინებულნი, რომ “გაზპრომის” მიერ გაზის მოპოვების გაზრდა ერთობ ნელი ტემპით მიმდინარეობს, დეფიციტის ახლო მომავალში საფრთხე უკვე რეალურია და ამიტომ თავის დაზღვევაა საჭირო. ვნახოთ, როგორ იმუშავენ ასეთი დაზღვევა.

ორმაგი დარტყმა

დიდი რვიანის წევრობა პრესტიჟს ნიშნავს. რუსეთი ამ კლუბის ერთადერთი წევრია, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრსაც არ წარმოადგენს. ეს კი პრესტიჟისათვის კარგი ნამდვილად არ არის, რომ არაფერი ვთქვათ ეკონომიკურ შეზღუდვებზე.

საერთაშორისო ორგანიზაციები იმისათვის არსებობს, რათა მსოფლიო პოლიტიკის ძლიერი მოთამაშეებიც კი ერთიანი თამაშის ფარგლებში მოაქციოს. გასულ კვირას ვაშინგტონმა კარგად ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია – კერძოდ კი სწორედ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია – მოსკოვსა და პეკინთან მიმართებაში. კერძოდ, ცნობილი გახდა, რომ აშშ ჯერჯერობით მხარს არ უჭერს რუსეთის ორგანიზაციაში დაშვებას. ხოლო რაც შეეხება ჩინეთს, ვაშინგტონი აპირებს მას სავაჭრო ორგანიზაციაში აღუძრას საქმე ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფისა და ასევე თავის ბაზარზე ამერიკული ფილმებისა თუ წიგნების დაშვების შეზღუდვის გამო.

ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა და მეკობრული ნაწარმი (დივიდები, კასეტები, პროგრამული დისკები და სხვ.) ის ფაქტორია, რომელიც რუსეთს ახლა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლაში ხელს უშლის. გარდა ამისა, აშშ ბუნებრივია ძალიან გააღიზიანა რუსეთის ენერგობაზრიდან უცხოელი ინვესტორების გაძევებამ. ქვეყანამ, რომელსაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში სურს შესვლა, უცხოურ კომპანიებს მეტი თავისუფლება უნდა მისცეს.

ვაშინგტონის სერიოზულ გაღიზიანებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ რუსეთს უარი ეთქვა ჯექსონ-ვენის შესწორების გაუქმებაზე. 1974 წელს აშშ-ში ისრაელური ლობის მხრიდან დაწოლის შედეგად მიღებული ეს აქტი ამერიკის მხრიდან ამა თუ იმ ქვეყანასთან ყველაზე შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმის მინიჭებას დამოკიდებულს ხდიდა ამ ქვეყნის მიერ თავისი მოქალაქეებისათვის თავისუფალი მიგრაციის უფლების მიცემაზე. რუსეთთან მიმართებაში აქტი დღემდე არ გაუქმებულა და იმისათვის, რომ მან ორმხრივი ვაჭრობა არ დაახარალოს, აშშ-ის პრეზიდენტი ყოველწლიურად სპეციალური ბრძანებით ერთი წლით აჩერებს ხოლმე მის მოქმედებას. მაგრამ ამგვარი ვითარება ხელს უშლის ვაჭრობისა და კაპიტალდაბანდებების გრძელვადიან დაგეგმვას. ორმხრივი ვაჭრობა მუდამ ჰაერში ჰკიდება. ჯექსონ-ვენის შესწორება უკვე დიდი ხანია გაუქმდა უკრაინასთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქვეყანა ალბათ რუსეთზე ადრე შევა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში და მას იქიდან გაწევრიანებისათვის თავის პირობებსაც უკარნახებს.

ჩინეთის შემთხვევა კი ცხადია განსხვავებულია.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მეშვეობით ჩინურ საქონელს კიდევ უფრო გაეხსნა გზა მსოფლიო ბაზარზე, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა ამ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და მისი გაძლიერება.

აშშ-ის ძლიერება და გავლენა კი მნიშვნელოვანწილად მის “რბილ ძალას” ემყარება. ეს “რბილი ძალა” ამერიკული ფილმები, მუსიკა, საგანმანათლებლო ინსტიტუტები და ა.შ. სწორედ ამ რბილ ძალას უკეტავს ჩინეთის ხელისუფლება გზას თავის ქვეყანაში. ეკონომიკური ლიბერალიზაციის მიუხედავად ჩინეთი კვლავაც ერთპარტიულ სახელმწიფოდ რჩება, სადაც მედია და კულტურა სახელმწიფოს მკაცრი კონტროლის ქვეშ რჩება. კონტროლდება ინტერნეტიც კი (ამ საქმით 50 ათასზე მეტი უშიშროების თანამშრომელია დაკავებული). ამგვარი ვითარება არ შეიძლება მოსწონდეს ვაშინგტონს. ჩინეთს სავაჭრო ორგანიზაციის მხოლოდ საკუთარ ეკონომიკურ ინტერესებში გამოყენება სურს, დემოკრატიულ ნორმებს კი დიდ ყურადღებას არ აქცევს. განვითარებული კაპიტალიზმი დემოკრატიის გარეშე (ანუ, ის რასაც “ჩინურ მოდელს” ეძახიან) ამერიკისათვის,

რომელიც დემოკრატიის გავრცელებითაა დაკავებული, ერთობ არასასურველი ფენომენია.

პეკინმა ვაშინგტონის ეს ნაბიჯი ერთობ მტკივნეულად აღიქვა. “ეს სერიოზულ ზიანს მიაყენებს ორმხრივ თანამშრომლობას” – ნათქვამია ჩინეთის ვაჭრობის სამინისტროს განცხადებაში. მაგრამ აშშ უკან აღბა თარ დაიხვეს. ჩინეთი ძლიერდება და საჭიროა მისი მეტ-ნაკლებად დემოკრატიზაცია. ამ მიზნისათვის კი რატომ არ უნდა იყოს გამოყენებული მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც ჩინეთს ძალიან სჭირდება.